ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2428 ხუთშაბათი, 4 მარტი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2428

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

კესარია მირზაბეგის ასული და ივლიანე ალექსის ძე ქავთარაძენი და ეკატერინე ალექსის ასული ჭილაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის, პირველის—ძვირფასის მეუღლისა და უკანასკნელთა—საყვარელის მამისა

ალექსი ზეყანის ძე ქავთარაძის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია შაბათს, 6 მარტისთვის, დაბა ძველ სენაკის მაცხოვრის ეკლესიაში. (ნ. 5—4)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 9 მარტს, 1904 წ., ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ **ბ. ვლ. სარდ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

ურიელ აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი დავითაშვილი, ნებიერიძისა. ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ბაქრაძე, ბარველი, გვარაძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანაშვილი, მატარაძე, სარჯველაძე, საფაროვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.

გამგე ა. იმედაშვილი. რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. (4—6.—1)

აბრეშუმის თესლი

საუკეთესო ხარისხის შემოწმებული **თეთრი ბაღდადური** და **ყვითელი ფრანგული** ისყიდება ზომიერ ფასებში **ქუთაისში.**

(10—70—8) სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ილ. და კანისა 1½ ს.—12-მდე.

ი. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ა. ვ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

რ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. ვ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ქ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. ვ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ბიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოს:

ვ. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. ვ. მაღალაშვილი— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან [illegible].

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლიანტიპ არმაკლიძისა. (0—5.—64)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლღას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოთ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოოზის ქუჩა სახლი№ 46.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ალაგობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—მადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

3 მარტი.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). პორტ-არტურიდან ნამდვილი ცნობა მოვიდა, რომ აქ დაუჭერიათ 20 ჩინელი და ერთი იაპონელი იმ დროს, როდესაც ისინი სამხედრო ნიშნებს აძლევდნენ იაპონიის ფლოტს. იაპონელს ჩინელის ტანისამოსი სცმია.

ნაგასაკი („რეიტ. სააგ.“). ის კრეისერები, რომელთაც ვლადივოსტოკზე იერიშის მიტანის დროს მონაწილეობა მიიღეს სასებოში დაბრუნდნენ. რუსების გემ „ეკატერინოსლავ“-ზე დაჭერილ აფიცრებს დაუნახავთ, რომ სასებოში იაპონიის ოთხი კრეისერი მივიდა, რომლებიც ძლიერ დაზიანებულნი აღმოჩნდნენ.

სეული („რეიტ. სააგ.“). იაპონელები თხოულობენ, რომ ნება მიეცეთ, კორეიაში საიმპერატორო ფერმებით ისარგებლონ.

იაპონიის სამხედრო აგენტი კორეიაში სამხედრო მინისტრთან იყო და აცნობა, რომ სამინისტროსთან მოთათბირედ ვარ დანიშნულიო. კორეიელებმა უპასუხეს, ჩვენ ამ დანიშვნის შესახებ არაფერი ვიცითო, რის შემდეგაც აგენტი იძულებული გახდა, თავის მთავრობისათვის საჩივრით მიემართნა.

ბერლინი. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტს უსაუბრნია ნიუჩუანში დალნის გუბერნატორის მდივანთან, რომელსაც უთქვამს: იაპონიის ორი ჯავშნიანი გემი, ორი კრეისერი და ორი ნაღმიანი გემი გამოჩნდნენ დალნის ბოლოზთან, მაგრამ ნავთ-სადგურში შემოსვლა ვერ გაჰბედეს, რადგან ნავთ-სადგურის გარშემო ნაღმები ეწყოო.

ნიუჩუანი. პორტ-არტურიდან მოსულმა უცხოელმა შეგვატყობინა, კვირას მომხდარ ბრძოლის დროს რუსეთის კრეისერმა „დიანამ“ მტრის გემები დააზიანაო.

ბლაგოვეშჩენსკი. ქალაქში მცხოვრებ ჩინელებს, როგორც ეტყობა, უნდათ დაასრულონ თავიანთი საქმეები და მანჯურიაში წავიდნენ.

ბერლინი. „დეილი მეილ“-ს ნიუჩუანიდან ატყობინებენ, რუსეთის ჯარის უფროსმა გენერალმა განაცხადა, რომ ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე, პორტ-არტურსა, დალნსა და ძინ-ჩოუში, აგრეთვე რკინის გზის ლიანდავის გაყოლებაზე საკმაო ჯარი გვყავს დაბანაკებული მთელ ამ ტერიტორიის დასაცველადაო.

„დეილი ექსპრეს“-ს ნაგასაკიდან ატყობინებენ, რომ ამ ბოლო დროს კორეიაში წინანდელ დღეებთან შედარებით ბევრად მეტი ჯარი იგზავნებაო.

(სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

3 მარტი.

პორტ-არტური. დღეს ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა დაათვალიერა ის ნაღმიანი გემები, რომელთაც 26 თებერვლის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს, მადლობა გამოუცხადა მეზღვაურებს მამაცურ ბრძოლისათვის, დაურიგა გიორგის ჯვრები იმ ჯარის-კაცით, რომელთაც თავი ისახელეს, ესაუბრა ცალცალკე თვითეულს, გამოჰკითხა დაწვრილებით ამბები მომხდარ ბრძოლისა და ინახულა დაჭრილნი.

3 საათზე მოვიდა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე, რომელსაც ადგილობრივი მოხელენი დიდის ამბით შეეგებნენ.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგ“. იტყობინება, რომ იმპერატორი ვილჰელმი და იტალიის მეფე 13 მარტს ნეაპოლში შეხვდებიან ერთმანეთსაო.

„ბერლინ ცაიტ.“ იტყობინება: რუსეთის ელჩმა გერმანიის მთავრობას გადასცა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ კვანტუნის გასამაგრებლად ნაღმები ჩაწყობილია, ასე რომ თუ უცხოელთა გემებმა მოისურვეს კვანტუნის რომელსამე ნავთსადგურში შესვლა, 5 მილის მანძილიდან ბაირაღებით უნდა ანიშნონ და გამოიწვიონ ლოცმანებიო.

პარიზი. საბიუჯეტო კომისიაში პელტანს შეეკითხნენ, რა მდგომარეობაშია საფრანგეთის კოლონიების ნაპირების დაცვის საქმეო. მინისტრმა უპასუხა, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ამ ჟამად სამი ჯავშნიანი კრეისერი და ოთხი კრეისერი არისო; ესკადრა წარმოადგენს პირველ-ხარისხოვან ძალას; ამის გასაძლიერებლად კიდევ იგზავნება ნაღმიან ნავების გამანადგურებელი გემები; ამათგანი ოთხი უკვე გაგზავნილია, ორიც მზად არის გაემგზავროს; გაიგზავნება კიდევ ორი წყლის-ქვეშ მავალი ნავი და ოთხი ნაღმიანი გემი საიგონის ნაპირების დასაცველადაო.

ტოკიო. გაზ. „ცენტ. ნიუს“ ამბობს, რომ იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა თამბაქოს და ქონის მონოპოლია შემოიღოს და აბრეშუმზე ბაჟი დააწესოს. გადაწყვეტილია აგრეთვე, არსებულ გადასახადებს მოემატოს. მაშასადამე, ომის საჭიროებისათვის იაპონიას აქვს: 65 მილიონი სამხედრო გადასახადისა, 58 მილიონი წინათვე შენახულ თანხისა და სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვიდან მოგებული ფული. პარლამენტის სესიაში ახალი კანონ-პროექტი განიხილება, რომლითაც მთავრობას ნება უნდა მიეცეს 150 მილიონის ხაზინის მოწმობები გასცეს.

* * *

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მარტი

პეტერბურგი. შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა. უმაღლესი მადლობა გამოუცხადეს პეტერბურგის გრადონაჩალნიკის თანაშემწეს ფრიშესა და ფინანსთა მინისტრის ამხანაგს რომანოვს.

პორტ-არტური (სპეციალური). პორტ-არტურში მშვიდობიანობაა. მტერი არ გამოჩენილა.

„ნოვი კრაი“-ს კორესპონდენტი იწერება ფუნხუანჩენიდან იმ სიძნელის შესახებ, რომელიც რუსეთის ჯარმა მამაცურად სძლია აღმოსავლეთ - მანჯურიაში გადასვლის დროს. ყოველგან მოუთმენლად მოელიან ამბებს ომის შესახებ, მთელი ჯარი აღფრთოვანებულია.

2 მარტს მოვიდა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე.

პეტერბურგი. პირველ კავალერიის კორპუსის გენერალ-ლეიტენანტი ბარონ ფონ-შტაკელბერგი დაინიშნა მანჯურიის ჯარის სარდალთან.

„პრავიტელ. ვესტნიკ“-ში გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ირკუტსკის სამხედრო გენერალ-გუბერნატორსა, აგრეთვე ტომსკისა და ტობოლსკის გუბერნატორებს ეძლევათ განსაკუთრებული უფლება შორეულ-აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების განმავლობაში მიიღონ ზომები სახელმწიფო წესიერებისა და საზოგადო მშვიდობიანობის დასაცავად.

დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მაგივრად სამხედრო სასწავლებელთა მთავარ-უფროსის თანამდებობის ასრულება დაევალა გენერალ-ლეიტენანტს ანჩუტინს.

საყურადღებოდ: რადგან დეპეშათა სააგენტოს საქმეები მოემატა, სააგენტომ მიიღო განკარგულება, ცირკულიარული დეპეშები შეამცირონ 200 სიტყვამდე და ასეთი დეპეშების გაგზავნას უთმობდნენ არა უმცირეს ოთხი საათისა დღეში. პეტერბურგიდან გასაგზავნად დანიშნულია დილით ათი საათი, 12 და 6 საათი დღისა და ათი საათი საღამოთი. ღამით შესაძლებელია მიცემა დამატებით ცირკულიარისა, რომელიც 300 სიტყვისაგან შესდგება. სააგენტო პასუხს არ აგებს ამის გამო დეპეშათა დაგვიანებისათვის.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

3 მარტი.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან 2 მარტს, დიდის სიცივეების შემდეგ თბილი დღეები დადგა. ხარბინსა და მანჯურიას შუა საფოსტო მატარებლის მიმოსვლა კვლავ დაიწყო. გირინში რუსეთის წარმომადგენელთა თანადასწრებით დიდის ამბით დაასაფლავეს რუსეთის მომხრე გირინის ძიანძიუნი, რომელიც, როგორც ხმა დადის, ძალად უნდა იყოს მოკლული.

26 თებერვალს აქ მოვიდა გენერალი ქილინსკი, 29 თებერვალს—ლინევიჩი.

ლონდონი. უცხოელთა კორესპონდენტებს შეძლება არ აქვთ, მიიღონ ცნობები იაპონიის ფლოტის მოქმედების შესახებ. როგორც იაპონიის შტაბის მიერ მიღებულ ზომებიდანა სჩანს, საეჭვოა, რომ ამაზე მეტი ცნობები ხმელეთზე მოქმედების შესახებ გვაუწყონ. პხიონიანსა და ანჩუში მყოფ კორესპონდენტებს უბრძანეს, სეულში დაბრუნდით და ელოდეთ ახალ ნება-რთვასო. აქიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია, იაპონიამ სხვა ადგილებში გადაიყვანოს ჯარი.

პორტ-არტურზე უკანასკნელ იერიშის მიტანის დროს მაჩმანმა პავლოვსკიმ დაიჭირა მოკლულ მესაჭეს ადგილი, რითაც დაღუ-

ბიბლიოთეკა

პვისაგან გადაარჩინა გემი, რომელსაც თავს ესხმოდა იაპონიის 4 ნაღმიანი გემი. 1 მარტს ჩემულპოში სამხედრო წესით დაასაფლავეს „ვარიაგ"-ზე დაღუპული ზღვაოსნები; კუბოებს დაფარებული ჰქონდათ რუსეთის დროშები და თან აცილებდნენ საპატიო მცველთა რაზმი საფრანგეთისა და ამერიკის ზღვაოსანთა; დაღუპულთა პატივის საცემლად რამდენჯერმე გაისროლეს ზარბაზნები, იაპონიის გემებმაც პატივის საცემლად ზარბაზნები დასცალეს.

პეკინი. როგორც ნამდვილ ცნობებიდანა სჩანს, არეულობანი მომხდარა ჩილის პროვინციაში პეკინ-ხანკოის რკინის გზის მეშვიდე ნაწილში. მიზეზი არეულობისა ისაა, რომ ჩინეთის მოხელეთ მცხოვრებთათვის არ მიუციათ ის ფულები, რომელნიც მათ ერგებოდათ რკინის გზის ლიანდაგისათვის დათმობილ ადგილებში. ის ხმა, ვითომ ევროპიელები მოეკლათ, ტყუილია.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, იაპონელები ფინხუანჩენამდე მივიდნენო. ფინხუანჩენი მდინარე იალუს დასავლეთით მდებარეობს მუკდენის გზაზე. ამიტომ ამ ცნობამ რუსეთსა, თუ საზღვარ-გარედ ყველანი დააფიქრა თურმე. „რუსკია ვედომოსტი"-ს ატყობინებენ ბერლინიდან: „ამ ცნობამ, ვითომ იაპონიის ჯარმა ფინხუანჩენამდე მიაღწიაო, ყველანი აალაპარაკა. თუმცა ეს ცნობა ვაშინგტონსა, ლონდონსა და ბერლინში ერთსა და იმავე დროს გაიგეს, მაგრამ ყველას მეტად უკვირთ, ყველა ახალ ცნობას ელის. კარგად ვერ გაუგიათ, თუ რა გზით უნდა მისულიყვნენ იაპონელები ფინხუანჩენამდე. უკანასკნელ ცნობების თანახმად, აქ ეგონათ, რომ იაპონელები პინიანს ახლო აგროვებდნენ დიდს ჯარს: ეხლა-კი, თუ ახალი ცნობა გამართლდა, იაპონიის ჯარი 230 კილომეტრით წინ ყოფილა. „ნაციონალ ცაიტუნგ"-ი შენიშნავს: თუ ეს ცნობა მართალია, იაპონელებს ბლომად ჯარი უნდა ჰყვანდეთ ფინხუანჩენს ახლო. იაპონელები იალუს დასავლეთით 80 კილომეტრის მანძილზე მარტო მზვერავ რაზმს ხომ ვერ გაჰგზავნიდნენ? ფინხუანჩენში უფრო დიდი ძლიერი რაზმი უნდა იყოს მისულიო. ერთი მცოდნე მეზღვაური ჰფიქრობს, ამას გარდა იაპონელები ნიუჩუანშიაც დიდ ჯარს გადაიყვანენ და ლაოდუნის ნახევარ-კუნძულს ხმელეთიდან გზებს შეუკრავენო. თუ ჩრდილოეთ-კორეიაში გადასული იაპონელებიც გირინამდე მივლენ და გირინისა და მუკდენის შუა სამხრეთში მყოფ ჯართან შეერთებას მოახერხებენ, მაშინ ცხადი იქნება, რომ იაპონელებს კორეისა, სამხრეთ მანჯურიისა და ლაოდუნის მოჭრა სწადიანთ ნიუ-ჩუან-მუკდენ-გირინ-მდინარე ტუმენამდე. „კრეუ ცაიტუნგ"-ის სამხედრო თანამშრომელიც თითქმის ასეთისავე თვალით უყურებს საქმეს. იმის აზრით, იაპონელებმა კარგა ხანია დიდი ჯარი გადაიყვანეს დაგუშანში; სჩანს, რუსებს იმ თავითვე ცოტა ჯარი ჰყოლიათ მდინარე იალუზე და უმთავრესი ყურადღება მუკდენისა და ნიუ-ჩუანის გამაგრებისათვის მიუქცევიათ. იქნება პირველი დიდი ბრძოლა ლიაოიანსა და ხაიჩენს ახლო მოხდეს, რადგან იქ რუსებს ძლიერი რაზმები უდგათო".

რუსები დიდ ჯარს აგროვებენ ლიაოიანში. ჩინელებს ყველა შენობა და სახლი ჩამოართვეს ჯარის დასაყენებლად. რკინის გზის ყველა სადგურზე რუსის ჯარი დგას კარვებში („მ. ვ.").

გერმანულ გაზ. „ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იუწყება სეულიდან: „იაპონიის საპიორები ჩრდილოეთ კორეიაში გზებს ასწორებენ. ამ გზებზე ამ ჟამად იაპონიის ყოველნაირი ჯარი მიდის. ამავე დროს იაპონელები სეულ-ფუზანის რკინის გზასაც ჰმართავენ („ბ. ვ.").

იაპონიის მთავრობამ ფილადელფიაში (ამერიკაში) ბალდვინის ქარხნებს კიდევ 24 ლოკომოტივი შეუკვეთა იმ პირობით, რომ ეს ლოკომოტივები კობეში (იაპონიაში) 2 თვის ვადაზე ჩააბარონ („ნ. ვ.").

ჰფიქრობენ, რომ 26 იანვარს პორტ-არტურთან ბრძოლაში იაპონიის ახალი კრეისერები „ნისინი" და „კასუგაც" იღებდნენ მონაწილეობასაო. („პ. გ.").

26 იანვარს პორტ-არტურთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი" სწერს:

„ადმირალი ტოგო კიდევ გაბედულად დაესხა ჩვენს ესკადრას და თვით ჩვენ მრისხანე ძლიერ ციხესაც ზარბაზანი დაუშინა. ცხადია, რომ ადმირალ ტოგოს სულ არ ეშინიან ადმირალ მაკაროვისა. მართლაც ადმირალ მაკაროვს ამ ჟამად მხოლოდ 5 საესკადრო ჯავშნიანი გემი ჰყავს, ერთი ჯავშნიანი კრეისერი და 3 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი, ე. ი. სულ 9 მებრძოლი გემი 116 ზარბაზნით; ადმირალ ტოგოს კი 14 მებრძოლი გემი ჰყვანდა 26 იანვარს და 177 ზარბაზანი ჰქონდა.

„რუსკია ვედომოსტ"-ი ჰფიქრობს, რომ 26 იანვრამდე, ცუდ ამინდებში ადმირალი ტოგო თავის ესკადრით კუნძულ ხაიუნდაოზე ტორნტონის ნავთ-სადგურში იდგებოდაო. გაზეთი სწერს: ტორნტონის ნავთ-სადგურიდან პორტ-არტურამდე—სულ 90 მილია, ასე რომ ამ კუნძულიდან პორტ-არტურამდე მოსვლა ესკადრას სულ 5 საათში შეუძლიან. იაპონიის სატრანსპორტო გემებიც, ალბად, ამ კუნძულზე ჩერდებიან, როცა ჯარი მდინარე იალუს დასავლეთით, ან კვანტუნის აღმოსავლეთ მხარეს მიჰყავთ. აქედან ბიცზივომდე—36 მილია ანუ 5 საათის სასიარულო გზაა სატრანსპორტო გემისათვის, დაგუშანამდე—55 მილი, ანუ 6 საათის სასიარულო გზაა. ჩვენის აზრით, იაპონელები აქ ქვა-ნახშირის სადგურს გაჰმართავენ და ამ კუნძულს სულაც თავიანთ ფლოტის ბაზრად გაიხდიან. იქნება ადმირალ ტოგოს თავის ესკადრის გასაჩერებლად პორტ-არტურს ახლო, კვანტუნის სამხრეთით, სხვა ნავთ-სადგურიც ჰქონდეს ამორჩეული. ეს იქიდან სჩანს, რომ ბრძოლის შემდეგ ტოგო ყოველთვის სამხრეთისაკენ, ჩიფუსა და შანტუნისაკენ მიდის ხოლმე. იქნება, ასეთ ნავთ-სადგურად იაპონელ ადმირალს მაოდაოს კუნძულების ჯგუფში კუნძული დაკონდაოც ჰქონდეს არჩეული, მით უმეტეს, რომ ამ კუნძულს სამხრეთიდან რიგიანი ნავთ-სადგური აქვს. ეს კუნძული პორტ-არტურის დასავლეთ-სამხრეთით მდებარეობს; აქედან პორტ-არტურის ციხემდე სულ ორის საათის სასიარულო გზაა.

ნაგასაკიდან ამბავი მოვიდა, ვითომ რუსის გემს „კოტიკ"-ს სან-ფრანცისკოდან რუსის ჯარისათვის 2 ათასი ბოჭკა დამარილებული ხორცი მიჰქონებოდეს და ნაგასაკში იაპონელებს ეს გემი დაეჭიროთ („რ.").

საუბარი რუსეთის სამხედრო მინისტრთან. ფრანგულ გაზ. „ფიგარო"-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს რუსეთის დროებით სამხედრო მინისტრ გენერალ სახაროვთან უსაუბრნია.

კორესპონდენტს უკითხავს: „ციმბირის რკინის გზას რამდენი ჯარი გადაჰყავს ყოველ დღეო?".

გენერალს მიუგია: „ჩვენ მეტად კმაყოფილნი ვართ. ჩვენი ჯარი რიგზე იგზავნება და მანჯურიაში იკრიბება. პირველ ჟამებში ცოტაოდენი დაბრკოლება შეგვხვდა; ბაიკალის ტბას იქით ვაგონები გვაკლდა. ეხლა კი ყინულზე რკინის გზა გავმართეთ; ტბას იქითაც 120 ლოკომოტივსა და 2 ათას ვაგონსა ვგზავნით.

— ეხლავე იცით, რამდენი ჯარი უნდა გაიგზავნოს მანჯურიაში?

— იმდენს გავგზავნით, რამდენიც საჭირო იქნება.

— ამბობენ, რუსეთი 400 ათასის კაცის გაგზავნას აპირობსო. განა ეს მეტის მეტად ბევრი არ იქნება?

— სულ მცირედ 400 ათას მაინც გავგზავნით; იქნება მეტიც გავისტუმროთ, მაგრამ ამ რიცხვზე ნაკლებს კი არას დროს არ გავგზავნით.

— როგორ გგონიათ, იაპონელები 200 ან 250 ათასზე მეტის ჯარის-კაცის გადმოყვანას მოახერხებენ?

— არა მგონია. იაპონელებს მომქმედ ჯარში 156 ათასი კაცი ჰყავთ: კარგი ქვეითა ჯარი ჰყავთ, ცოტა ცხენოსანი და ბევრი არტილერია. სათადარიგო ჯარიცა ჰყავთ იაპონიის სამფლობელოს დასაცველად, მაგრამ ვინ იცის რა ღირსებისაა ეს ჯარი. იქნება, ეს ჯარიც გადმოიყვანონ და კორეიაში მოქმედ ჯარს ზურგი გაუმაგრონ, მაგრამ მაინც არა მგონია, იაპონელებმა საბრძოლველადა და სალაშქროდ 200 ათასზე მეტი ჯარის-კაცის გადმოყვანა მოახერხონ.

— რუსეთს ბევრი ხანი დასჭირდება თავის ჯარის გადასაყვანად?

— რაღა თქმა უნდა, რამდენიმე თვე მაინც დასჭირდება. მაგრამ ამას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

— მაშ ომი მალე არ გათავდება?

— რა დროს ომის გათავებაზე ლაპარაკია, როდესაც სამხედრო მოქმედება ჯერ არც კი დაწყებულა. რაც აქამდე მოხდა, არაფრად არაა ჩასაგდები, თუმცა იაპონელებმა ცოტათი გაიმარჯვეს კიდევაც და საქმეც წინ წაიგდეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენც კარგს საჩუქრებს ვუმზადებთ იაპონელებს. მანჯურიაში ნამდვილი ბრძოლა 6 კვირასა, ან 2 თვეზე ადრე არ მოხდება. ვიდრე ომი სრულიად არ გათავდება, ბოლომდე არ მივა, რუსეთი ბრძოლაზე ხელს არ აიღებს.

— ჯარს ხომ დიდი კვება სჭირდება?

— ჩვენც გამოვკვებავთ. საკვები სურსათი საკმაოდ გვაქვს დამზადებული. მანჯურიაში ბევრი ხორცი, ფქვილი, შვრია და თივა ვიშოვეთ; რაც გვაკლია, რუსეთიდან გავგზავნით.

— მაშ ჯარის გამოკვება სულ არ გ[illegible]ხებთ?

— მართალია სურსათის თადარიგში ვარ[illegible] ეხლა, მაგრამ ეს საქმე სულაც არ გვაწუხებ

— სურსათის გარდა ჯარს ბევრი სხვა [illegible]მე სჭირდება, მაგალითად—ბინა.

— რას იზამთ, ომი ომი უნდა იყოს და არა გართობა. თავდაპირველად ზამთარში ცოტათი შევწუხდებით, მაგრამ გაზაფხული შორს აღარაა.

— რუსეთის მთავარ-შტაბმა იცის, რამდენი ჯარი გადმოიყვანა იაპონიამ კორეიას?

ფელეტონი

უმშვენიერესი ხალხი დედამიწის ზურგზე

ამ სათაურით ფრანგულ ჟურნალ „Lectures Modernes"-ში („თანამედროვე საკითხავნი"), რომელიც ბელგიის სატახტო ქალაქ ბრიუსელში ყოველ ორ კვირაში გამოდის, დაბეჭდილია წერილი უცნობის ავტორისა*) ქართველთა შესახებ. ავტორს აზრადა აქვს გააცნოს ჟურნალის მკითხველთ ქართველი, როგორც სწორუპოვარ სილამაზის ერის წარმომადგენელი. მაგრამ ავტორი მარტო ფიზიკურს აღწერას არა სჯერდება,—რამდენისამე კალმის მოსმით ცდილობს ჩვენის გონებრივისა და ზნეობრივის მდგომარეობის სურათი დაუყენოს თვალწინ მკითხველს. როგორც ქართველი მკითხველიც დაინახავს, ავტორი რამდენადაც სწორ სურათს იძლევა ქართველის გარეგნობისას, იმდენად კალამი ჰღალატობს, როცა ჩვენის გონებრივის მდგომარეობის აღწერას იწყებს. ქართველ მამაკაცთა აღწერას თავი დავანებოთ და ორიოდ შენიშვნა მივსცეთ პატივცემულ ავტორის ნათქვამს ჩვენებურ ქალების შესახებ. ის, რასაც ჩვენებურ ქალებს უკიჟინებს ავტორი, მარტო ქართველ ქალების ნიშანდობლივი თვისება არ არის, სამწუხაროდ. არ უნდა დავიწყნოდა, რომ ჩვენის ქალების დასავლეთელი დები ქორწილისა და საქმროს არჩევის საქმეში ბევრით კი არ არიან შორს წასულნი. მერე-კა, თუ ჩვენმა ხალხმა დღემდე თავი შეინახა, უნდა უმადლოდეს ერთის მხრივ იმ ქართველ დედას, რომელსაც ესმოდა თავის დანიშნულება და წმინდად ემსახურებოდა კიდეც ამ დანიშნულებას: მოვლა ოჯახისა, აღზრდა მამულისათვის სასარგებლო შვილებისა.

ჩვენი თანამედროვე ქართველი ქალები დიახაც იწყენენ, რომ გაიგონონ, ევროპიული განათლება ის არის, რომ ტფილისის სალონებში მეტოქეობა გაუწიონ რუსის არისტოკრატიის ქალებს. ეკატერინე გაბაშვილს, ანასტასია ერისთავს და სხვათა თანამემამულეთ დიაღაც ეწყინებათ ევროპიელისაგან ასეთი აზრი და საფუძვლიანიც იქნება მათი წყენა... მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ეს წერილი ეკუთვნის მგზავრს, რომელმაც ჩვენი ენაც-კი არ იცის და რომელიც გარეგნულ შთაბეჭდილებას ემორჩილება, მის გავლენის ქვეშ არის, როცა ჩვენს შესახებ რასმე უზიარებს ევროპიელი მკითხველთ. მისის ნათქვამის $^2/_3$ თუ სწორია, $^1/_3$ მესამედი უსწორობა ჩვენც შევუნდოთ, მით უფრო, რომ მადლობა უნდა მოვახსენოთ ყველას, ვინც ორიოდ მიუკერძველ სიტყვას დახარჯავს აქ, ევროპაში, ჩვენს შესახებ.

საჭიროდ დავინახეთ ეს ორიოდ სიტყვა წაგვემძღვარებინა წინ და ახლა თუ მკითხველის ნებაც იქნება, ფრანგულ ჟურნალის ნათქვამსაც გავაცნობთ უმეტ-ნაკლებოდ.

—

„ქართველები იმავ თავითვე ულამაზეს ხალხად ითვლებიან მთელს დედა-მიწის ზურგზე. წერილის [illegible] ნი, ტანადნი, მაღალნი და ღონიერნი. სახის ნაკვთები, ჩვეულებრივ, ლამაზი და მეტად გამომეტყველი აქვთ. თმა შავი და დახუჭუჭებული; თვალებიც შავი და კილოიანი; ცხვირი გრძელი და ხშირად კაუჭიანი. საერთოდ პირისახე უფრო მომრგვალოა, ვიდრე მოგრძო, მხოლოდ ღაწვები გამოწეული თავის დღეში არა აქვსთ.

სიარულისა და მიხვრა-მოხვრის დროს, განსაკუთრებით მაღალს წოდებას, რაღაც სიამაყე და კეთილ-შობილება ეტყობათ და ეს თვისება გვამცნევს, რომ ეს ხალხი მეომარი ხალხია. იმავ თავითვე ხან ოსმალნი ეომებოდნენ ამ ერთ მუჭა ხალხსა და ხან სპარსნი, დაღესტნის მთიელნი (ლეკები) ხომ მოსვენებას არ აძლევდნენ. თავიანთის ქვეყნის ასეთის მდებარეობის წყალობით ქართველები მეომარ ხალხად იქცნენ. საქართველო რაც რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ამ მხრივ გარემოება გამოიცვალა, მაგრამ სულიერი მიდრეკილება, ხანგრძლივმა სოციალურმა ყოფამ რომ შექმნა, მოგეხსენებათ, ერთ დღეში არ გამოიცვლება ხოლმე.

სმაში თავდაჭერილნი არიან, თუმცა ღვინო უყვართ, მაგრამ მთვრალებს იშვიათადა ნახავთ, უყვართ აგრეთვე ცხენოსნობა. ყველა ამ თვისებათა პატრონ ქართველებს ერთსა და იმავე დროს მეომარის ნაკლულევანებაცა აქვს და ღირსებაცა. ქართველი კაცი მშვიდობის მოყვარეა; თუმცა თავით-ფეხებამდე შეიარაღებულია, მაგრამ ამ იარაღს მხოლოდ თავის დასაფარავად თუ იხმარს. მეტად ზრდილია, ხანდისხან ისე წრეს გადააცილებს ხოლმე მისი ზრდილობა, ტყუილის თქმასაც კი არ დაერიდება, ოღონდ თქვენ არ გაწყინოსთ, თქვენი შუბლი შეკრული არ დაინახოს. სტუმართ-მოყვარეობა ქუეტად, სარწმუნოებად აქვსთ გადაქცეული სასწავლებელში არ უსწავლიათ, მაგრამ ზნეო ბით ნიჭიერნი არიან და მშვენიერად იციან ბაასი, მკაფიოდ ლაპარაკი, სიტყვის თქმა დ ლაპარაკისა ან საჯარო ბჭობის დროს ჟამ და-ჟამ მეტად მოსწრებულ და სურათ-ხატო ვან სიტყვებსა ხმარობენ ხოლმე. ჰკუამახვი ლი, ნაზის გულისა, მხიარული და თავაზიან ქართველი, იმის დარდი ნაკლებ აქვს, ხვა რა მეშველებაო; რაღაც უძლეველი სიდ ეტყობა, ალბად, აქაურს ჰავის გავლენით, არ შეუძლია თავს ძალა დაატანოს ამა თ იმ დაბრკოლების საძლევად. მწუხარებასა დ პირს მეტად ეჩაგვრინებიან, ველარ უძლებე ცუდმედიდობა და მოდის აყოლა უყვარსთ სხვის საქმეში იჭვიანნი, წინდახედულნი და ცნობის მოყვარენი არიან; თავიანთს საქმე მეტის-მეტს სიფრთხილეს იჩენენ; საჯარო ვითომ გულწრფელობა უყვარსთ და ამა დროს თავიანთს გრძნობას საიდუმლოს ოს ტობით ჰმალვენ: ალერსიანი სიტყვა-პასუ ფიცი-მტკიცი დაუსრულებელი, პირჯვ წერა უსაზღვრო —ყოველსავე ხმარობ თქვენს დასარწმუნებლად. ცრუმორწმუნ ებასაც მაგრად აქვს მათს შორის ფეხი გ გმული; პატიოსნება თავისებურად ესმისთ, ვინმემ რომ რამე დაუშავოსთ, თვითონ თავისივე ხელით ასამართლებენ მოწ მდეგეს და ამის წყალობით ხშირად ხოლმე ციმბირში. საზოგადოდ ღარიბ მდიდარს თავი მოაქვსთ თავადობით თუ ნაურობით და, მათს დიდებულს მიხვრ მოხვრას და ქცევას რომ დააკვირდებ თქვენც იტყვით, მართლაც რომ კეთილ-შ ბილურის ჩამომავლობისანი უნდა იყვნენ ტანისამოსიც ძალიან ხელს უწყობს თველთა კეთილ-შობილურ ხასია [illegible]

---

*) ავტორი წერილს ქვეშ თავისს ინიციალებს აწერს „J. M." (ჟ. მ.). ჩვენა გვგონია, რომ ეს ინიციალები ეკუთვნის ბ-ნს ჟან მორანს, რომელმაც ამ 6 წლის წინად ჩვენს ქვეყანაში იმოგზაურა და მერე ფრანგულად დაბეჭდა „La Finlande et le Caucase".

— საიდან გვეცოდინება?. ამ ცნობებს ვინ მოგვაწვდიდა? ჩემის აზრით, იაპონელები აქამდე ბევრი-ბევრი 100 ათასის ჯარისკაცის გადმოყვანას მოახერხებდნენ; ესეც კარგი გამარჯვებაა.

— ამბობენ, იაპონელებს კორეიაში მეტად გამოცდილი გენერალი ჰყავთ. ამ გენერალს კორეიაც კარგად აქვს შესწავლილი.

— ვიცი, ვინცა ჰყავთ იაპონელებს სტრატეგად. იმისი გვარიც ვიცი. ეს სტრატეგი წინად შინაგან საქმეთა მინისტრად იყო და მერე მთავარ-შტაბის უფროსის თანაშემწედ (გენერალი კოდამა) დაინიშნა იაპონელებს აფიცრები, ბარონები, გენერალისიმუსები და ფელდმარშლები ბევრი ჰყავთ, მაგრამ რა სამხედრო შნო და უნარი აქვთ ამ ფელდმარშლებს, მალე დავინახავთ („ნ.“).

ამერიკა და იაპონია. სან-ლუის მსოფლიო გამოფენის კომიტეტს უთხოვნია იაპონიის მთავრობისათვის, რაც რუსებს ბრძოლის დროს სამხედრო დავლა წაართვას იაპონიის ჯარმა, ჩვენ მოგვყიდეთ გამოფენისათვისაო („პ. ვ.“).

„პეტ. ვედ.“-ი შენიშნავს: ჯერ მოიცადონ, იქნება იაპონელებმა ვერაფერი ვერ წაართვან რუსებსაო.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 3 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე ტფილისის „საარტისტო საზოგადოების“ დარბაზში გაიხსნა **ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა** ექიმ ბლიუმენტალისა. კავკასიის სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარემ, ექიმმა ანანოვმა სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა მნიშვნელობა ამ გამოფენისა, შემდეგ გამოფენის მდივანმა ექიმმა ხატისოვმა გააცნო დამსწრეთ ის, თუ როგორ ებრძვიან ევროპაში ამ სენს. გამოსთქვა აგრეთვე სურვილი, რომ კავკასიაშიაც დაიწყოს საერთო მოძრაობა ამ სენის წინააღმდეგ და ეს გამოფენა ქვა-კუთხედად გაუხდეს ამ მოძრაობასაო. დასასრულ, ხატისოვმა დამსწრეთ მოკლედ გააცნო გამოფენის შინაარსი. შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა. ექიმმა არწრუნიმ ადგილობრივ სომხურ ჰიგიენურ ჟურნალის რედაქციის მხრივ გამოუცხადა მილოცვა ამ საქმის მოთავეთ. შემდეგ ამისა თავჯდომარემ გამოფენა გახსნილად აღიარა და დამსწრენი მიიწვია დასათვალიერებლად. მსურველთ დაწვრილებით ცნობებს აძლევდა ექიმი ხატისოვი. გამოფენას დაესწრნენ საქართველოს ექსარხოსი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავმჯდომარე ტფილისის ოლქის სასამართლოსი, კავკასიის სამკურნალო ნაწილის უფროსი და სხვანი. 1½ საათს შემდეგ გამოფენა გაიხსნა კერძო კაცთათვის. გამოფენა ორ კვირას გაგრძელდება.

◆ **ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენის** საორგანიზაციო კომისიის მდივანი ა. ი. ხატისოვი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ შესდგა ექიმთა მორიგეობა, რომელთაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გამოფენის დამთვალიერებელთ. მორიგეობაში (დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე) მონაწილეობას მიიღებენ სამკურნალო საზოგადოების შემდეგი წევრნი: ექიმები ავეტისოვი, არწრუნი, ბაბაევი, ვესელოვზოროვი, ვაწაძე, ქალანთარი, კატანიანი, მაღალაშვილი, მუხარინსკი, რუდენკო, პეტროპავლოვსკი, ფედოროვი, ხარაზოვი, ხატისოვი და შაჰპარონიანცი.

◆ 6 მარტისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ღარიბ კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისა.** სხვათა შორის, ამ კრებაზე უნდა მოხდეს არჩევანი გამგეობის სამის წევრისა ბ-ნ ღულაძისა, ა. მ. ჰყონიასი და შევალიეს ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა გასდით.

◆ დღეს, 4 მარტისთვის, დანიშნულია კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება**. კრება განიხილავს: მიმდინარე საქმეებს, 1893 წლის ანგარიშს და 1904 წლის სავარაუდო აღრიცხვას. ამას გარდა მოხდება არჩევანები საბაღოსნო სკოლის გამგისა, სამეურნეო, სარედაქციო და სარევიზიო კომისიების წევრებისა.

◆ როგორც ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის მიერ შეკრებილ და ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდანა სჩანს, მიმდინარე წელს ქალაქის 19 **პირველ დაწყებით სკოლაში** სწავლობს 2246 მოსწავლე. აქედან რუსი—860, სომეხი—730, ქართველი—587 და სხვა ეროვნებისა, 69. ქალაქის 18 სკოლის სადგომების დასაქირავებლად ქალაქი ყოველ წლობით ხარჯავს 19,652 მან. სამოსწავლო წლის დასაწყისში მთავრობის სკოლებში შესვლის მსურველი ქალაქის ღარიბ მცხოვრებთაგან ყოფილა 1667 ყმაწვილი. აქედან მიუღიათ 826 და უარი უთქვამთ 843 ყმაწვილისათვის.

◆ ამ დღეებში რკინის გზით ჩამოვლენ **შიდა რუსეთიდან გლეხები** ამიერ კავკასიაში დასასახლებლად.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ნ. ი. თამამშევმა მეორე განცხადება გადასცა გამგეობას და სთხოვა, მიიწვიოს **გაზეთების წარმომადგენელნი** და იმათთან ერთად შეიმუშაოს წესი, თუ როგორ უნდა ეძლეოდეთ გაზეთებს ცნობები ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათაგან.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის განკარგულებით, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო მოწერილება შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რომელიც ატყობინებს გამგეობას, რომელ **საფაბრიკო და საქარხნო** დაწესებულების გახსნის ნებართვა აქვს ქალაქს. მოწერილობაში ჩამოთვლილია 37-მდე დაწესებულება, რომელთა გახსნის ნებართვა არ შეუძლიან გასცეს ქალაქის თვით-მართველობას.

◆ კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე ტფილისში **შინა-მრეწველობის ნაწარმოებთა მუზეის** დაარსების შესახებ.

◆ ტფილისის გუბერნიის **გადასახადთა საკრებულომ** უკვე გააწერა ტფილისის მაზრაში სახელმწიფო საიჯარო და საადგილ-მამულო გადასახადები. პირველი გადასახადი არის 44,030 მან. მეორე—8,086 მანეთი.

◆ ტფილისის გუბერნიის სამშენებლო გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა **გორის ხიდთან** ლიახვის გასამაგრებლად დამატებით ფულის გადადების შესახებ.

◆ ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ახალსენაკსა და სიღნაღში არსდება განსაკუთრებული კომისიები, რომელთაც უნდა შეამოწმონ **სათადარიგო პრაპორშჩიკები** და ის ჯარის-კაცნი, რომელნიც პირველის ხარისხის უფლებით სარგებლობენ.

◆ **იმიერ-ბაიკალის გზის უფროსმა** შეატყობინა ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, აქ საჭიროა სადგურის რვა უფროსი და თექვსმეტი უფროსის თანაშემწე და შეეკითხა, შეგვიძლიანთ თუ არა გამოგვიგზავნოთო.

◆ რადგან ტფილისის მეტეხის საპყრობილე ცეცხლის გაჩენისაგან უზრუნველ-ყოფილი არ არის, გუშინ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, მეტეხის გვერდით გამართოს ონკანი.

◆ მეტეხის ბორანის საქმის შინაურულად წარმოებას ტფილისის ქალაქის გამგეობამ თავი დაანება და გუშინ-წინ, 2 მარტს, საჯარო ვაჭრობა გამართა ბორანის იჯარით გასაცემად. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო ორმა კაცმა. ეგანოვმა შეაძლია 9575 მან., ხოლო სოლონინმა—950 მან.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ერთმა ტელეგრაფისტმა-ქალმა სთხოვა, მამიღეთ რკინის გზის სკოლის იმ განყოფილებაში, სადაც სადგურების უფროსის თანაშემწეებს ამზადებენ, რადგან მსურს ეს თანამდებობა შევიძინოო.

◆ სურფ-კარაპეტის ქუჩის მცხოვრებლებმა გუშინ ქალაქის გამგეობას სთხოვეს, გადასდოს ფული ამ ქუჩის მოსაკირწყლავად.

◆ ტფილისის ქალაქის უფროსმა მებაღემ ქალაქის გამგეობას შეატყობინა, ქალაქის მე-4 ნაწილში განოვისა და სადოვოი ქუჩის კუთხეში მცხოვრებმა მაკაროვმა ქალაქის ნება დაურთველად აღნიშნულ ქუჩაზე 20 ხე მოსჭრაო. ამისათვის რომანოვმა ოქმი უკვე შეუყენა და ქალაქის გამგეობას წარუდგინა, რათა მაკაროვი პასუხის გებაში მისცენ ნერგების მოჭრისათვის.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილის ბოქაულმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ მამა-დავითის მოედნის ბაღში მყოფი მოსამსახურე თედორე ჯავახოვი მეტად უზრდელად ექცევა ბაღში შემსვლელ ბავშვებს და ხალხსაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „კურიერი“ გვაუწყებს, ოდესაში ომის გამო ვაჭრობა-მრეწველობა თვალსაჩინოდ შეფერხებულა. გაჭირვება მოელის მსხვილ წარმოებასაც; ქვა-ნახშირის წარმოებას უკვე ეწვია კრიზისი. ქვა-ნახშირის ფასმა შესამჩნევად დაიწია, რის გამო სამუშაო ხელფასიც დაეცა და ბევრი მუშა ხალხი უსაქმოდ დარჩა; სიმშილი, გაჭირვება და გადამდები სენი მშრომელ ხალხს შორის დღითი დღე იზრდება. ერთის ექიმის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, რომ ამ ცოტა ხანში 50 მუშა გამხდარა ავად სახადით. გაჭირვება მით უფრო საგრძნობელია, რომ ხელფასის დაცემასთან ერთად შესანიშნავის სისწრაფით მატულობს ფასები ყოველ გვარ სანოვაგეზე, განსაკუთრებით პურზე.

◆ „ელისავეტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია ხერსონის გუბერნატორის განკარგულება, რომლის ძალითაც სამ-სამის თვით დაპატიმრებულ იქნენ მოქალაქე დ. შაცი, ზ. სპივაკი, ი. ფიშ, გლეხი ტ. ვოიცეხოვსკი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 16 ნოემბერს 1903 წელს მუშების მიერ გამართულ ნებადაურთველ კრებაში.

◆ ახირებულ ამბავს ატყობინებენ გაზეთ „ნოვოსტი“-ს: „ნიჟეგოროდის გუბერნიის სოფელ ლისკოვში აბანოს ცეცხლი გასჩენია, რომლის ჩაქრობა ადვილად შეიძლებოდა თურმე, მაგრამ ცეცხლის მქრობელთა რაზმს ცეცხლის ალი რუსეთის გამარჯვების მომასწავებელ ნიშნად მიუღია და ჩაქრობაზე უარი განუცხადებია“.

◆ საერო განათლების სამინისტრომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ გაუგზავნა ცირკულიარი, რომლითაც წინადადებას აძლევს, იზრუნეთ სოფლის მასწავლებელ ქა-

---

ეს ტანისამოსი გახლავსთ: გრძელი ჩოხა შავის ან სხვა ფერისა, მასრებიანი, და მაღალ საყელოიანი ახალუხი, წელზე შემოჭერილი ვერცხლით შემკულ ქამრით, რომელზედაც ჰკიდია სატევარი, ორივ მხრივ მჭრელი. მამაკაცთა უმეტესი ნაწილი წვერს ატარებს, დიდი თმა უკანა აქვსთ გადაყრილი. თავის საბურავად ხმარობენ ბუხრის ქუდს ან მხრებზე კოხტად გადაგდებულ ყაბალახს, რომელსაც წვიმის დროს კაპუშოსავით ხმარობენ. მთელი ხელოვნებაა ყაბალახის დახურვა, თვითეული მათგანი თავისებურად იხურავს თავის გემოზე. ფეხთ აცვიათ თხის ტყავისაგან შეკერილი რბილი წუღები, წვეტებიანი. საცვეთები სამოგვისა ან მაუდისა მუხლებს ზემოთამდე სწვდებათ. ბოლოს, ყოველისავე ზემოდან ხურავთ განუყრელი ნაბადი ანუ წვიმა-გაუვალი მანტია მატყლისა.

საკუთრივ ქართველი ქალი (ქართლისა, კახეთისა, სომხეთისა, სამცხისა) გინდ შავგვრემანი იყოს და გინდ ქერა ტყუილად არის ნაქები სილამაზისათვის. რაც შეეხება იმერეთისა, სამეგრელოსა და გურიის ქალებს, თითქმის ყველანი ლამაზნი არიან. ხშირის, ნაწნავებად დაყოფილის, თმის ორი კულული ჯერ სახეზე ჩარჩოსავით აქვსთ შემოვლებული და იქიდან მხრებზე აქვსთ ნაწნავებად გადაშვებული; დიდრონ თვალების გრძელი და სქელი წამწამები ჩრდილსა ჰფენენ ლოყებსა, ხოლო თვით წყლიანი თვალები საამოდ ბრწყინავენ ოდნავ გახრილ წარბებ ქვეშ; სურათი ცხვირი აქვსთ, ყური ზომიერი. ფერი საზოგადოდ ალეწილი აქვსთ. ორი მიჯრით მიწყობილი წყება ზომიერის კბილებისა პირს უმშვენიერებსთ. პირი ორსავე მხარეს თავდება მსუბუქის ნაოჭით, რაიცა, ცოტა არ იყოს, ამაყურს გამოხატულებას სდებს სახეს; ღიმილი მეტად უხდებათ. მაღლები არიან, გულ-მკერდი სრული აქვსთ, თეძოები გადგმული, ტანი მეტად სწორედ უჭირავსთ. მკლავი ლამაზი აქვსთ, ხელი თითქო გამოქანდაკებული, ძალიანაც უფრთხილდებიან ხელებსა, ამიტომ რომ სიტყვას ისე არ იტყვიან, ხელიც არ ააყოლონ ხოლმე, თითქო ხელით ლაპარაკობენო; ხმა ტკბილი აქვსთ და იშვიათად აიმაღლებენ, რადგან ზრდილობა მოითხოვს დაბალის ხმით ილაპარაკონ ხოლმე. თავიანთს პატარა ფეხებს ჰმალავენ, თითქო სიარული ეზარებათო, მაგრამ ზეზე წამოდგებიან თუ არა, რხევით მიდიან კატასებრ. სალმის მიცემაში სწორუპოვარნი არიან და ერთი მეორეს მხრებზე ჰკოცნიან. მეტად კოპწიანი არიან, ფერ-უმარილი და ნელსაცხებელი ძალიან უყვარსთ. თითქმის ყველანი ცივის ტემპერამენტისანი არიან და მათი მიძინებული გული სანახევროდაც იშვიათად გაიღვიძებს ხოლმე სიყვარულის დროს.

ძველებური და კოხტა ტანისამოსი ქართველ ქალთა თან-და-თან ჰქრება, პარიზის მოდები აქაც შემოდის ხოლმე და ეროვნულს და თავისებურს ყოველსავე აქრობს. აქაური ტანისამოსია: გრძელ-კუდიანი კაბა, რომელსაც, რაც უნდ დარი იყოს, არ ასწევენ ხოლმე; თავზე ან მარტო თეთრ ლეჩაქს იხურავენ ან არა და თავ-საკრავს. ფერადი კაბა წელზე შემოჭერილია მოქარგულ და განიერ სარტყელით, რომლის ორი წვერი წინიდან ძირს არის ჩამოშვებული, ან ვერცხლის ქამარით. ზამთარში კაბას ზემოდან ხავერდის ქათიბი ასხიათ, ყურთმაჯებიანი, ბეწვიანი, გულზე სირმა-მოვლებული.

ქართველი ქალი ქმართან ერთად ვარედ იშვიათად გამოვა და თუ გამოვა, ქმარი ხელს არ გაუყრის თავისს ცოლს. დუქანში დახლს უკან რომ დაინახონ ქართველი ქალი, ყველა ყიჟინას დასცემს. წვეულებისა ან დღეობების დროს ქალები ცალკე იყრიან თავს და მამაკაცებში არ გაერევიან.

აქაური ცოლქმრობა უფრო ფულისათვის ხდება. ვაჟი ქალს რომ ირთავს, იმიტომ კი არ ირთავს, რომ მოსწონს და უყვარს, ირთავს იმიტომ, რომ მზითევი აიღოს. ქალს უფლება არა აქვს საქმრო თავის გულისა აირჩიოს, ამ შემთხვევაში სრულიად უნდა ემორჩილებოდეს დედ-მამის სურვილსა და ნებას. კაცი მეგობარს კი არ ეძებს, არამედ არსებას, რომელსაც ფული მოჰყვება და ამ ფულის საშუალებით მოსაგებ საქმის დაწყება შეუძლია. ქალისათვის მისი საქმრო მისის გულის მესაიდუმლე, ჭირისა და ლხინის გამყოფი კი არ არის,—მისი ქმარი ცოტად თუ ბევრად მომხიბვლელი კაცია, რომელმაც ორი სხვა-და-სხვა ოჯახი ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს, რომელიც მას აშორებს მშობელთა ჭერს ქვეშ მოსაწყენ ცხოვრებას. მაგრამ ცოლ-ქმრობის პირველი ხანა რომ გაივლის, უფრო აშკარა ხდება ხოლმე სხვა-და-სხვაობა ხასიათებისა, გემოვნებათა, ყოველდღიური უსიამოვნება ერთად ცხოვრებას ამწარებს; ამას თან მოჰყვება ხოლმე ცოლქმრული ღალატი, ურთიერთთ წყენა, რაიცა შედეგია ხოლმე ასეთ უბედურ ცოლქმრობისა და რომლის სიმწარეს ცოლქმრის გარდა შვილებიც სწვნევენ ხოლმე.

ქართველ ქალთა ცხოვრების ეგეთი სამწუხარო პირობანი არიან მიზეზი იმისა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება თითქმის არ არსებობს საქართველოში. ქალებს არა აქვს საშუალება განავითარონ ხოლმე თავიანთი გონება, გამოიყენონ ბუნებრივი ნიჭი და ამის წყალობით მამაკაცებზე დაბლა დგანან გონებრივად, როგორც ჩამორჩენილნი არსებანი. მოხდება ხოლმე, ათასში ერთხელ, რომ ზოგი ქალთაგანი, გონიერი და მხნე თვითონ უძღვება ოჯახს, თვითონ ხდება ნამდვილი უფროსი და ხელმძღვანელი ოჯახისა. ქართველ ქალს ერთად-ერთი უფლება აქვს—იმუშაოს. გინდ მშვიდის ხასიათისა იყოს და თავმდაბალი, გინდ ლაქლაქა და გესლიანის ენის პატრონი, გინდა პატიოსანი იყოს და გინდა სინიდისზე ხელ-აღებული—მისი მოვალეობა ერთია: სიმშილით არ მოჰკლას ქმარ-შვილი; მისი დიდი ღირსება და ამავე დროს მთავარი მოვალეობა გახლავსთ: შვილები გააჩინოს.

იმის შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის პროვინცია გახდა, ევროპიული განათლება ნელ-ნელა ვრცელდება და სასურველ ნაყოფსაც იძლევა. ახლაც ტფილისის სალონებში არა ერთი და ორი ქართველი ქალი უწევს მეტოქეობას რუსის არისტოკრატიას. სლავიანურ ცივილიზაციის გავლენა, რომელსაც აქ პოლიტიკური სარჩულიც უდევს, აქ თან და თან თვალსაჩინო ხდება, განსაკუთრებით თავად-აზნაურობაში და საადმინისტრაციო ცენტრების მახლობლად მდებარე ადგილებში. ევროპიული ჩვეულებანი თვალსაჩინოდ სცვლიან მამაპაპურ ჩვეულებას“.

წ. კ. ნათქვამის დასამტკიცებლად ავტორს წერილში ჩართული აქვს სამი სურათი: ერთია ჩაქურად მორთულ გურულისა, მეორეა ბ-ნის კობალაძისა (ჩოხით და ფაფანაკით) და მესამეც ჩვენის არტისტის ქალბატონის ელისაბედ ჩერქეზიშვილისა.

თ. ს.

ლთა ნივთიერ და გონებრივ საჭიროებათა გაუმჯობესობისათვის, რათა შეძლება ჰქონდეთ დამშვიდებით აკეთონ თავიანთი საქმეო.

სასამართლო

სამი კაცის უკვალოდ დაკარგვა.

1901 წელს ადესაში მისულა ერთი კაცი და დასახლებულა კრივოი ქუჩაზე. პოლიციის მოწმობაში, რომელიც სახლის პატრონისათვის წარუდგენია, ეს უცნობი კაცი ითვლებოდა მე-10 გრენადერთა სამეგრელოს პოლკის სამსახურს გარეშე მყოფ ფელდფებლად. გვარად იყო ანდრია სტეფანეს ძე სკრიპკა. სკრიპკას რამდენისამე დღის შემდეგ პოლიციისთვის უთხოვნია სამსახურში მიმიღეთო. რადგან სკრიპკასათვის უნახავთ გულზე წმ. გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვარი და სამი მედალი, ვაკანსიის განთავისუფლებამდე ჩაუნიშნავთ სამსახურს გარეშე მოხელედ. 7 ნოემბერს ადესის ბოქაულისთვის მოქალაქეს ხაქინსკის განუცხადებია, რომ სკრიპკა ის კაცია, რომელიც პოპოვიჩის გვარით დონის როსტოვში პოლიციელად იყო, შემდეგ 1889 წელს ციმბირში იქმნა გადასახლებული ქურდობისათვისაო. როცა სკრიპკას შეეკითხნენ ამის თაობაზე, განაცხადა, რომ ეგ ამბავი სიმართლეს მოკლებულია და მე სკრიპკა ვარო. შეკრებილ ცნობებით აღმოჩნდა, რომ სკრიპკა ეკატერინოსლავის გუბერნიის პავლოგრადის მაზრის მცხოვრები ყოფილა, თედორე ვასილს ძე ზინუტა. შესდგომიან გამოძიებას და გამოურკვევიათ, რომ ზინუტა სამხედრო სამსახურში მიუღიათ 1876 წელს და ჩაურიცხავთ მე-16 გრენადერთა სამეგრელოს ჯარის-კაცად. ზინუტას უმსახურნია 1880 წლის 25 ოქტომბრამდე და შემდეგ დაუთხოვნიათ სამსახურიდან უფროს უნტერ-აფიცრის ჩინით. 1877 წელს ოსმალეთთან ომში მონაწილეობა მიუღია და მედლითაც დაუჯილდოვებიათ. 1885 წელს ზინუტა გარდაუსახლებიათ ციმბირში, რადგან თავის საზოგადოებას არ მიუღია იგი, როგორც ქურდობისთვის დასჯილი ნოვოჩერკასის ოლქის სასამართლოს განაჩენით. ციმბირიდან გამოქცეული ზინუტა დასახლებულა როსტოვში; აქ პოლიციის მოხელედ ყოფნის დროს ბოროტმოქმედებისთვის ხელ-ახლა ციმბირში გაუგზავნიათ და შემდეგ 1893 წელს ირკუტსკის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით იგი ნიკოლაევის ქარხანაში სამუშაოზე გაუმწესებიათ. 1995 წელს ზინუტა აქედანაც გაქცეულა და სცხოვრობდა სხვა და სხვა ქალაქებში, ვიდრე 1901 წელს ადესაში არ დაუპატიმრებიათ. როცა გამომძიებელს გამოუკითხავს, სად იყავი 1895 წლიდან აქამდეო, იმას გუნუცხადებია—ერთხანად ვდურგლობდი, შემდეგ შუა ციმბირის რკინის გზაზე ვმოიჯარადრობდი, ხოლო 1897 წელს 1 ოქტომბერს ევროპის რუსეთში წამოვედიო. ზინუტა მისულა სამარაში, შემდეგ წასულა ვოლგათი ასტრახანში, აქედან გადასულა ლენქორანში, სადაც სათადარიგო აფიცერს ჰაჯი-მამუდს ემსახურებოდა. ლენქორანში შეუძენია პასპორტი სამსახურს გარეშე მყოფ ვახმისტრის თედორე ზინოვიევის სახელზე. როცა ზინუტას სახლი გაუჩხრეკიათ, უნახავთ ნივთები და საბუთის ქაღალდები, რომელთაგანაც ზოგი ეკუთვნოდა ფელდფებელს ანდრია სკრიპკას, ზოგი პრაპორშჩიკს მილიციისას პეტრე მესხს და დანარჩენი სამსახურ გარეშე მყოფ ფელდფებელს ივანე ტიმენკოს. როცა ზინუტასათვის გამოუკითხავთ, სად იშოვნე საბუთები, ნივთები და ორდენებიო, იმას განუცხადებია: ლენქორანში ჰაჯი-მამუდს ვემსახურებოდი. მამედმა მიბრძანა, მიმეწვია იმასთან სამსახურში ტფილისიდან ივანე ტიმენკო და ანდრია სკრიპკა. მეც ჩამოვიყვანე სკრიპკა, ხოლო ტიმენკო უკვე ჰაჯის სახლში დამხვდა. იმავე საღამოს ყველანი ჰაჯის წინამძღოლობით წავედით ერთს მივარდნილს სოფელში, სადაც შეიკრიბა 30 კაცზე მეტი. აქ ჰაჯიმ წინადადება მისცა ყველას, სპარსეთის საზღვარზე წავიდეთ და კონტრაბანდით საქონელი მოვიტანოთო. მე არა მსურდა ავაზაკთა ბრბოში მონაწილეობის მიღება, გავიქეცი და თან გავიყოლიე ფუთა სკრიპკასა და ტიმენკოსი. ფუთაში აღმოჩნდა მათი ნივთები და პასპორტები. მე ვისარგებლე სკრიპკას პასპორტით და ვცხოვრობდი სხვა და სხვა ქალაქებში. 1900 წელს ტაშკენტში მიმიწვია ხივის ხანმა. იმავე მილიციის პრაპორშჩიკ მესხთან ერთად, რომელიც ქუთაისში გავიცანი, შავი ზღვით წავედი. იალტაში მე და მესხი შევჩერდით, რადგან აქ უნდა მიგვეღო ხივის ხანის რწმუნებულისაგან სამგზავრო ფული. იალტაში ორი კვირა მოგვიხდა ცდა. ერთს დღეს შეველი მესხთან და იქ ვნახე ერთი ჩერენი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჰაჯი-მამუდის მეთაურობით სპარსეთის საზღვარზე წასულ ყაჩაღთა ბრბოში. რადგან შევატყე, რომ ტაშკენტამდე წასასვლელი ფული უნდა ამ ჩერენისაგან მიგვეღო და რადგან შესაძლებელი იყო, რომ ამ გზით ჰაჯი-მამუდის კონტრაბანდისტების ბრბოში ჩავარდნილიყავი, თავი დავანებე მესხს, თან წავიღე მესხის ნივთებით სავსე ჩემოდანი და სევასტოპოლის გზით გავსწიე ადესაში. ზინუტას დაჭერის ამბავი და ის გარემოება, რომ მას აღმოაჩნდა ნივთები და პასპორტები, დაიბეჭდა გაზეთებში. ეს ამბავი გაეგო, სხვათა შორის, სკრიპკას სახლობასაც ტფილისში. სკრიპკას მეუღლეს, ეკატერინეს, ამ ამბავის შეტყობის შემდეგ თხოვნა გაუგზავნია ადესაში ბოქაულისათვის და განუცხადებია, რომ სკრიპკა წაიყვანა ტფილისიდან ერთმა კაცმა, ზინოვიევმა, რომელმაც დაარწმუნა, ბუხარის ემირთან სამსახურში შესვლას მოგიხერხებო. მას აქეთ სკრიპკა სადღაც გადაიკარგა უგზო-უკვლოთაო. ამავე ბოქაულისათვის ადესაში მცხოვრებ რომანოზ ფირცხალავას უთქვამს, რომ ჩემი ბიძა, პრაპორშჩიკი მესხი, წამოიყვანა ქუთაისიდან ერთმა კაცმა, რომელიც ანდრია სკრიპკას ირქმევდა, იმ განზრახვით, რომ ხივის ხანთან სამსახურში მიაღებინებდა. იმ დღიდან მესხი სადღაც გადაიკარგა. ამ საქმის გამო დაუბარებიათ ეკატერინა სკრიპკა, რომელსაც გამოკითხვის დროს განუცხადებია: ჩემმა ქმარმა, ანდრია სკრიპკამ, 26 წელი იმსახურა ჯარში და როცა თავი დაანება სამსახურს, წელიწადში პენსიად 36 მანეთი დაუნიშნეს, როგორც წმ. გიორგის ყველა ხარისხის ორდენების კავალერსაო. 1898 წელს გაზ. „ტიფლისკი ლისტოკ"-ში სკრიპკამ წაიკითხა განცხადება კავალერების სამსახურში გაწვევის შესახებ. რადგან ანდრია ადგილს ეძებდა, ხოლო ადრესი აღნიშნულ განცხადებისა არ იცოდა, მივიდა „ტიფლ. ლისტოკი"-ს რედაქციაში, სადაც გაიგო, რომ ამ განცხადების დამწერი ბაქოში მცხოვრებია ზინოვიევი. სკრიპკასა და ზინოვიევს შორის მიწერ-მოწერა გაიმართა. ზინოვიევი ჩამოვიდა ტფილისში. გამოწყობილი ყოფილა ჟანდარმთა უნტერ-აფიცრის ფორმაში; გულზე ჰკიდებია წმ. გიორგის ორდენი, ვერცხლის მედლები, ჯვარი ვითომ-და ბოლგარიის მთავრისაგან ნაჩუქარი და ვარსკვლავი. ზინოვიევმა მიიწვია თავისთან სკრიპკა და უთხრა, წამოდი, ბუხარის ემირთან კამერდინერად დაგაყენებო, თვეში 65 მან. დაგინიშნავსო. მეორე დღეს სკრიპკას წაუღია თან 20 მან. და ზინოვიევს წაჰყოლია ბაქოში. ცოლს ზინოვიევისაგან რამდენიმე წერილი მიუღია. ერთით უთხოვნია გაეგზავნა სკრიპკას მიერ შინ დავიწყებული ოქროს მედალი, საპენსიო წიგნი და პასპორტი, რაც ეკატერინეს კიდეც შეუსრულებია. ბოლოს ანდრია სკრიპკას დეპეშით უცნობია ცოლისათვის: მე ყაზანის საავადმყოფოში ვწევარ, ვრჩები, არ დაგივიწყებ. ზინოვიევმა მომცა 200 მანეთიო. ამის შემდეგ სკრიპკა უკვალოდ დაკარგულა. შემდეგში გამოძიებას გამოურკვევია, რომ 1896 წელს ზინუტას სკრიპკას სახელით ასტრახანის სახაზინო თევზის სამრეწველო განყოფილებაში შესულა, მაგრამ 4 თვის შემდეგ დაუთხოვნიათ. შემდეგ ზინუტა წერილების დამტარებლად ყოფილა ნიჟეგოროდის საერობო გამგეობაში ანდრია სკრიპკასავე სახელით. შემდეგ წასულა სამარაში „გოროდოვოით" ყოფილა. აქედან ტფილისის სახაზინო პალატისათვის უთხოვნია სკრიპკას პენსია გაეგზავნათ სამარის საგუბერნიო ხაზინაში. სამარიდან ზინაუტას სკრიპკას სახელით პენსია გადაუტანია ადესაში და შემდეგ რაჭის მაზრის ონის სამაზრო ხაზინაში, სადაც თითონაც მისულა და სამსახურში ჩარიცხულა. ონში მოხელეებისათვის უთქვამს, რომ მიწვეული ვარ პეტერბურგში ერთს საპატიო პირთან, თვეში 75 მანეთადაო, და წასულა კიდეც.

ოლქის სასამართლომ ამ საქმის შესახებ განაჩენი გამოაცხადა გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო თეოდორ ზინუტა და გადაუწყვიტა 15 წლით კატორგაში გაგზავნა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მარტი.

მოსკოვი. დაიწვა ბრესტის რკინის გზის სახელოსნოები. დაიღუპა ათი ახალი ორთქლმავალი.

სოფია. მთავრობამ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია არსებულ სავაჭრო ხელშეკრულობათა განახლებისა.

კონსტანტინეპოლი. დაადგინეს განაჩენი გაზეთის გამომცემლის ტახირ-ბეის და იმის ამხანაგთა შესახებ, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი ყალბ ორდენების გაცემისა გამო. გადაუწყვიტეს ტახირ-ბეის, მაიორს მაჰმედ-ბეის, მახას-[illegible]-ფაშას და თევფიკ ფახრედინს თხუთმეტის წლით საპყრობილეში დაპატიმრება, ხოლო დოქტორ ჰრისტოფორეს—ერთის წლით დაპატიმრება.

ვიგო. იმპერატორი ვილჰელმი აქ მოვიდა დღის ორს საათზე.

3 მარტი

სოფია. მემორანდუმზე პორტას პასუხი ელჩს ჯერ არ შეუდგენია. იმედი აქვთ, რომ პორტა მიიღებს მემორანდუმს თითქმის უცვლელად. საქმის კარგად მცოდნე წრეებს იმედი აქვთ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ სულთანი დაამტკიცებს ოსმალეთ-ბოლგარიის შეთანხმებას, რომელიც შეეხება კომერციულ დამოკიდებულების გაუმჯობესობას, გარდახვეწილთა სამშობლოში დაბრუნებას და საზღვრებზე არსებულ უთანხმოების მოსპობას.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მარტი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,99
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,87½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,65
ბერლინისაზე „	46,27½
პარიზისაზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	93⅛ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	91 მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	354 „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	252 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	87⅝
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	171 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქართლ-კახეთ-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორამ თავის თანადასწრებით დანიშნა ვაჭრობა 9, და ხელ ახლად ვაჭრობა 13 აპრილის 1904 წ., დავით-გარეჯის მონასტრის სახნავ-სათიბ და საძოვარ ადგილების იჯარით გასაცემათ, რომელიც შეიცავს 5000 დესეტინას. იჯარის ვადა არის ექვსი წელიწადი. ვაჭრობა დაიწყება 1500 მანეთიდგან. მსურველთ შეუძლიანთ, თანახმად 99 მუხ. სახელმწიფო იჯარის დებულებისა, მოსცენ ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორას თხოვნა, რომელიც უნდა იყოს დაწერილი 60 ღერბის ქაღალდზე, და რომელთანაც უნდა იყოს წარმოდგენილი: 1, პასპორტი ანუ სხვა რაიმე მისის პიროვნების დამამტკიცებელი მოწმობა, და 2, ბე, არა ნაკლებ ერთი მესამედი იჯარის ქირისა, იჯარის უზრუნველ საყოფელი. დაწვრილებითი პირობები შეუძლიანთ მიიღონ მსურველთ ქართლ-კახეთ-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორის კანცელარიაში 8—2 საათამდის. ამასთანავე შეიძლება დაბეჭდილი კონვერტების გამოგზავნა.

(3—6—1)

მოიკითხეთ
ძმ. გ. და მ. ფრიდონოვების
ხილეულობის უდიდესი
სანერგე.

სადგური სკრა. იყიდება საუკეთესო ჯიშის ნერგები. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისში მ. გ. ფრიდონოვს, სერგიევის ქუჩ. № 11 და ქუთაისში პირველი სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდასთან". კატალოგები იგზავნება უფასოდ. (10—71—4)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 8 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე **დანიშნულია ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა თავისუფალი მიწის ნაჭრები ნაძალადევსა და ლოტკის გორაზე. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან ვაჭრობის დღემდე უნდა წარადგინოს მოწმობა პოლიციისაგან იმის შესახებ, რომ იგი ხარჯის მძლეველ წოდებას ეკუთვნის და ტფილისის ქალაქის თვითმმართველობაზეა მიწერილი. იმან, ვინც სხვა წოდებას ეკუთვნის, უნდა წარადგინოს მოწმობა: რუსის ქვეშევრდომმა იმის შესახებ, რომ ტფილისში 5 წელზე მეტს ხანს სცხოვრობს, ხოლო სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომმა, რომ 10 წელიწადზე მეტს სცხოვრობს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ იმათ, ვის მამას, შვილებს, ქმარს ან ცოლს უძრავი ქონება აქვს. ვერც ისინი მიიღებენ მონაწილეობას, ვისაც იჯარით აქვს აღებული ქალაქის მიწა.

(2—6.—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Средство Пружана
ქერტლისა და თმის დაცვენის წინააღმდეგ

მოკლე დროში ამ საშუალებამ სახელი გაითქვა თავის ღირსებით; მისი სარგებლობა შეუძლია დაამტკიცოს ბევრმა ცნობილმა პირმა, რომელთაც გამოცადეს ეს საშუალება. იგზავნება ფასდადებით. ერთი ფლაკონი 1 მ. 75 კ., ორი ფლაკონი 3 მან.. ისყიდება იმპერიის ყველა სააფთიაქო მაღაზიაში. ადრესი: Петербургъ, Садовая ул., д 68 ПРУЖАНУ. (Б. 5—3. ჰრ.)

ГЛАВНОЕ КАВКАЗСКОЕ АГЕНТСТВО

О—ва Граммофонъ въ Россій

Тифлисъ, Головинскій просп. домъ Абіянца № 7.
Телеграф. адресъ:
Тифлисъ

«ГРАММО-
КОМПАНІЯ»
(Телефонъ № 69).

ГРАММОФОНЪ „МОНАРХЪ"

Большой выборъ: самыхъ усовершенствованныхъ салонныхъ и концертныхъ Граммофоновъ.

Громадный выборъ: безшумныхъ пластинокъ знаменитыхъ и извѣстныхъ невцовъ какъ-то:

Русскихъ, Грузинскихъ, Татарскихъ, Персидскихъ, Турецкихъ, Польскихъ, Французскихъ, Англійскихъ, Италіанскихъ, Нѣмецкихъ и проч.

При выборѣ пластинокъ, просимъ обращать вниманіе на наше фабричное клеймо „Пишущій Ангелъ», безъ котораго пластинки безусловно поддѣлка.

При складѣ имѣется спеціальная мастерская, въ конторой могутъ быть въ случаѣ надобности, исправляемый граммофоны.

За правильный ходъ Граммофоновъ выдается ручательство на три года.

Упаковка товара производится за счетъ покупателя.

пересылка аппаратовъ на всѣ станціи ж. д. въ предѣлахъ европейск. Росс (Лѣтомъ включая пристани водныхъ путей) производится складом за свой счетъ.

почтовая пересылка принимается складомъ на свой счетъ въ половинномъ размѣрѣ.

По воскреснымъ днямъ магазинъ закрытъ. Въ другіе дни открытъ отъ 8½ ч. утра до 9 ч. вечера.

Требуйте иллюстрирован. каталоги. Гг. оптовымъ покупателямъ высылаются новые прейсъ-куранты по востребованію. (10—9)

Доз. ценз. Тифлисъ 3 марта 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამოც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.